



შირაკი

SHIRAKI

www.opentext.ge

გამოზის 1937 წლიდან

№44 (9.560)

23 ნოემბერი 2012 წელი

ფასი: 50 თათრი

ყოველგვიან გამოხატვა

დედოფლის ცყაროს მუნიციპალიტეტის საბრენეულოს ახალი თავმჯდომარე ჰყავს



მინი დოსიე: ლევან ნატროშვილი 1982 წლის 19 ივნისს დაიბადა.

2004 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

2005—2008 წლებში მუშაობდა შპს „ენამთის“ აღმასრულებელ დირექტორად, 2008-2009 წლებში ქ. დედოფლის წერიტორიული ორგანოს რჩებულებულად, 2009 წლიდან — გამგეობის სოციალური დაცვის სამსახურის უფროსად, 2010 წლიდან დედოფლის წერიტის სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეა. ჰყავს მეულლე და ორი შვილი.

22 წლის დედოფლის წერიტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საგანგებო სხდომაზე, რომელსაც მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ზაზა ფირისმანაშვილი უძღვებოდა, მთავარ თემად საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის საკითხი იქცა. დეპუტატებმა ცნობად მიიღეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თვეულის ბალაშვილისა და გამგებლის ნიკოლოზ შანშიაშვილის განცხადებები გადადგომის თაობაზე.

მუნიციპალიტეტის უკვე ყოფილმა თავმჯდომარემ ლევან ბალაშვილმა სიტყვით მიმართა საკრებულოს: „ მე ყოველთვის კარგად მესმოდა, რომ თანამდებობა არ არის მუდმივი. თანამდებობიდან გადადგომა არ ნიშნავს საკრებულოდან წასვლას. მე, როგორც საკრებულოს წევრს, კარგად მესმის, რომ ჩემი წილი პასუხისმგებლისა მაკისრია ხალხის, ამომრჩევლის წინაშე. კვლავ თქვენს გვერდით მიგულეთ ყველა დადებითი გადაწყვეტილების მიღებისას, მაგრამ ნურც ის გაგიკირდებათ, თუ პრეტენზიას გამოხატავ იმ საკითხების განხილვისას, რომლებზეც ჩავთვლი, რომ დედოფლის წერიტის კარგად არ წაადგება“ — განაცხადა ლევან ბალაშვილმა და მადლობა გადაუხსადა საკრებულოს წევრებს იმ ორზღიანი ერთობლივი მუშაობისთვის, რომელიც საკმაოდ ნაყოფიერი იყო დედოფლის წერიტისთვის.

დეპუტატებმა საკრებულოს თავმჯდომარის ვაკანტურ ადგილზე სოციალურ საკითხთა კომისიის თამჯდომარე 30 წლის ლევან ნატროშვილი დაასახელეს და საკრებულოს თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს.

ლევან ნატროშვილი ამბობს, რომ მისი მუშაობის პრიორიტეტი დედოფლის წერიტის მუნიციპალიტეტზე და მის მოსახლეობაზე ზრუნვა იქნება.

ინგა შირაკის ვიზუალი



შეობლები ბაღებში კვების
გაუმჯობესებას ითხოვენ



გვ.
6

ზემო მაჩვანეში
წყალმომარაგების
პრობლემა



მუქარა
სიცოცხლისა და
ჯანმრთელობისათვის
გვ.
3

უცადახ საცოცხლი
და ფიზიკური
მასშინავა მოვლენების
გვარები!

- ახალი ინფორმაცია
 - საბაზო საცოცხლის არჩევა
 - აუკციონი
 - ტელეარი - ყველაფერი
მხოლოდ ჩვენთან!
- ის, რასაც სხვაგან ვერ
დაიკითხავთ!
- www.dedoplistsqaro.ge

